განკარგულება:**g-37. 37232985**
თარიღი:**25/10/2023**

განკარგულება N64

25 ოქტომბერი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩა N1-ში (ს/კ 26.26.42.003.01.507) მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 18.4 კვმ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩა N1-ში (ს/კ 26.26.42.003.01.507) მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 18.4 კვმ. (დანართის სახით წარმოდგენილი დაშტრიხული გეგმის შესაბამისად -1 (ერთი) ოთახი) ფართის, სარგებლობაში, უსასყიდლოთ, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის, გურიის რეგიონული წარმომადგენლობის ოფისის ფუნქციონირებისათვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის - „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ გადასაცემად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი